პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 45 (4555)

1972 წ. 4 მარტი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ოქროს მოსავალი მატჩულოგს

ლეიკ პლესიდი, 2 მარტი. მსოფლიოს სტუდენტთა აქ მიმდინარე ზამთრის თამაშებში — „თეთრ უნივერსიადაში" განსაკუთრებული წარმატებით საბჭოთა სპორტსმენები ასპარეზობენ. მაგალითად, 5 და 15 კილომეტრზე სათხილამურო რბოლებში ყველა საპრიზო ადგილი მათ დაისაკუთრეს.

5-კილომეტრიან დისტანციაზე უნივერსიადის ჩემპიონი გახდა პეტროზავოდსკელი ლ. მუხაჩოვა — 20.27,8. ვერცხლის მედალი ხვდა პეტროზავოდსკელ ი. როკოს (20.56,7), ხოლო ბრინჯაოსი — იოშკაროლელ ნ. სელიუნინას (20.58,3). IV ადგილზე გავიდა პეტროზავოდსკელი ტ. შაკშინა (21.26,7).

და აი, მას შემდეგ, რაც საბჭოთა მოთხილამურე ქალებმა მთელი ნადავლი მოიხვეჭეს, მედლებს ვაჟებმა შეუტიეს და საწადელიც შეისრულეს. 15 კილომეტრზე რბოლაში I ადგილი დაიკავა საპოროს ზამთრის XI ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, მოსკოველმა ფ. სიმაშოვმა — 55.47. II ადგილზე გავიდა უხტელი ი. პრონინი (56.06), ხოლო III — ხაბაროვსკელი ს. საველიევი (56.59). IV ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი ი. ბრაგინია — 57.27,36.

ოქრო მოიხვეჭა პერმელმა ორჭიდელმა გ. რუსინოვმაც, რომელმაც 15-კილომეტრიან რბოლაში II ადგილი დაიკავა — 1:00.45 (აქ პირველი იყო ფინელი ბაჰმანი — 58.03,36), მაგრამ საბოლოო ჯამში 409,09 ქულა დააგროვა და ვერცხლი არგუნა იაპონელ ხ. ნაკანოს (405,05), რომელიც პირველი სახეობის — ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ ლიდერობდა. ბრინჯაოს მედალი ერგო ლ. რაგლს (ჩეხოსლოვაკია) — 388,05 ქულა.

წაუგებლად განაგრძობენ ასპარეზობას საბჭოთა ჰოკეისტები, რომლებმაც მეორე წრის მატჩში უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ სძლიეს კანადელებს — 3:2. კანადელთა კარს შესანიშნავად იცავდა კ. ლოკეტი: მან თავისი ნაკრები დიდი ანგარიშით წაგებას გადაარჩინა.

ჰოკეისტთა ტურნირში ლიდერობს სსრ კავშირის გუნდი, რომელსაც 6 ქულა აქვს 6-დან (შაიბების ბალანსი — 21:5). კანადელებს, რომლებმაც მეორე მატჩში ანგარიშით 5:3 დაამარცხეს აშშ-ს ნაკრები, 4 ქულა აქვთ 8-დან (19:19). ამერიკელებმა ჯერჯერობით ვერც ერთი ქულა ვერ მიიღეს და, ცხადია, შაიბების ბალანსიც უარყოფითი აქვთ — 7·23.

დიდი ინტერესი გამოიწვია სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრებამ. სპეციალურ სლალომში ოქროს მედალი მოიგო პოლონელმა რ. დერეჟინსკიმ, რომელმაც ორი ცდის ჯამში 1.25,72 აჩვენა. II ადგილი დაიკავა იაპონიის ჩემპიონმა მ. კასივაგიმ — 1.26,69, ხოლო III — ფრანგმა ფ. ტომამ — 1.28,54. თბილისელი ი. ნასყიდაშვილი XV ადგილზე გავიდა — 1.43,71 (სწრაფდაშვებაში მას აშკარად მოუვარა ხელი — მხოლოდ 42-ე იყო — 2.13,81).

ქალთა შორის მწვავე ბრძოლა გააჩაღეს საპოროს „თეთრი თამაშების" ბრინჯაოს პრიზიორმა ს. კოროკმა, ჯ. ვესტმა (ორივე — აშშ) და ა. ტასჯანმა (იტალია). პირველი ცდა ვესტმა მოიგო. კოროკმა მღელვარება ვერ მოთოკა, დაეცა და შეჯიბრებიდან მოიხსნა. ტასჯანი მესამე იყო — ვესტს 0,62 წამით ჩამორჩა. სამაგიეროდ, იტალიელმა მეორე ცდისას ყველაზე სწრაფად დაფარა ტრასა და საუკეთესო ჯამიც მოაგროვა — 1.29,68. ვერცხლი ვესტს ხვდა (1.30,43), ხოლო ბრინჯაოს ავსტრიელი ბ. ედელბრუნერი დაეუფლა (1.33,81).

# პირველი ნაბიჯები

როცა სსრ კავშირში პირველად შემოიღეს მშთ კომპლექსი, პრაქტიკით დამტკიცდა, რომ სასკოლო პროგრამის პედაგოგიური პრინციპი საუკეთესო საშუალება იყო მისი განხორციელებისთვის. ესე იგი, ბავშვმა ფიზკულტურაშიც ისევე ბეჯითად უნდა იმეცადინოს, როგორც სხვა საგნებში.

ახალი კომპლექსის ნორმები ძველზე რთულია. როცა ჩვენ ეს ნორმები თბილისის მოწინავე სკოლებში შევამოწმეთ, გამოირკვა, რომ გეგმაზომიერი მუშაობით მოსწავლეებს შეუძლიათ ამ ნორმების დაძლევა. მაგალითად, თბილისის მე-19 საშუალო სკოლაში, სადაც ფიზაღზრდის მასწავლებლად დიმიტრი ქართველიშვილი მუშაობს, საწყის ეტაპზე აღმოჩნდა, რომ IV-V კლასებში ნორმების შესრულება მოსწავლეთა 80 პროცენტს შეუძლია. რაც შეეხება მაღალ კლასებს, იქ ნორმები უფრო რთულია და, ბუნებრივია, მოსწავლეებს მათი შესრულება გაუჭირდათ. ამგვარად, ნორმების მოთხოვნათა დაძლევა შეიძლება მხოლოდ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობით, ესე იგი დაპროგრამებული მეცადინეობის გზით. ამასთან, თუ ფიზაღზრდის გაკვეთილები მაღალკვალიფიციურ დონეზე ჩატარდება, ცხადია, მოსწავლეს ნორმების შესრულება არც ისე გაუძნელდება, როგორც ახლა გვეჩვენება. როგორც ხედავთ, ფიზაღზრდის მასწავლებლის როლი იზრდება. ახლა ყოველივე მის პასუხისმგებლობის გრძნობაზეა დამოკიდებული.

საქართველოს განათლების სამინისტროში შეიქმნება კომპლექსის სპეციალური კომისია, რომლის მუშაობაშიც ჩაბმული იქნებიან განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი აკაკი ჩხიკვაძე, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი რევაზ კანდელაკი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი ირაკლი ბაცელაშვილი, ფიზაღზრდის მეთოდკაბინეტის გამგე (ეს თანამდებობა მოგეხსენებათ მე მიჭირავს), ამ კაბინეტის უფროსი მეთოდისტი სასკოლო პროგრამების დარგში ნიკოლოზ სეფაშვილი და სხვები.

კომისიის მოვალეობა იქნება განათლების სამინისტროს აპარატის ყველა ინსპექტორს გააცნოს ახალი კომპლექსის მოთხოვნები. განათლების მინისტრის თამარ ლაშქარაშვილის ბრძანებით ახალი კომპლექსის მოთხოვნებს გაეცნობიან განათლების განყოფილებათა მუშაკები, სკოლების დირექტორები, მათი მოადგილეები და სხვები. ამ მიზნით სპეციალური კურსებიც მოეწყობა.

სკოლების შემოწმებისას განათლების ორგანოებისა და სამინისტროს მუშაკები ვალდებული იქნებიან სხვა საკითხებთან ერთად შეამოწმონ ახალ კომპლექსთან დაკავშირებული საქმიანობაც.

მეთოდკაბინეტი უახლოეს ხანში გამოსცემს მეთოდურ წერილს, სადაც განხილული იქნება ახალ კომპლექსთან დაკავშირებული საკითხები. საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროში უკვე დავსვით საკითხი კომპლექსის სახელმძღვანელოს შექმნის თაობაზე.

რესპუბლიკის მოსწავლეთა შეჯიბრებების კალენდარში შეტანილი იქნება ასპარეზობა მშთ ნორმების მრავალჭიდში. თავდაპირველად ჩატარდება სასკოლო შეჯიბრებები, შემდეგ რაიონული, ბოლოს კი რესპუბლიკური შეჯიბრება. როგორც ცნობილია, კომპლექსის ნორმები სხვადასხვაა და იგი მოსწავლეთა სამ სხვადასხვა ასაკს ითვალისწინებს. შეჯიბრებები ყოველი ასაკისთვის ცალ-ცალკე გაიმართება. განზრახულია საპრიზო ადგილებზე გასულებისთვის წამახალისებელი ზომები როგორც სკოლის ფარგლებში, ისე რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

პირველი ასეთი ასპარეზობა წლეულს ოქტომბერში გაიმართება, ხოლო შემდეგი შეჯიბრებები ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება. ამ ღონისძიებათა გამართვის დროს გამოვლინდებიან არა მარტო ახალი კომპლექსის ნორმების საუკეთესო მცოდნენი, არამედ საუკეთესო მასწავლებლებიც, რომლებიც შესაბამისად დაჯილდოვდებიან.

მშთ კომპლექსის ახალი ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ საკითხზე: ახლახან საქართველოს განათლების სამინისტრომ მოიწონა სოხუმის სკოლებში ცურვაში საშინაო დავალების შემოღება. ამ გადაწყვეტილების შედეგად სოხუმის სკოლების მოსწავლეთა 70 პროცენტი ცურვაში მომზადებული აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში პედაგოგებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს მშობლებმაც. ასეთი ღონისძიებები უთუოდ ხელს შეუწყობს სკოლებში მშთ ახალი კომპლექსის ნორმების უკეთ და დროულად ჩაბარებას.

**გ. მერკვილაძე,**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.



## საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატები

## გარჯა დაუფასდა



საქართველოს მშვილდოსან ქალთა პირველი ლიდერი ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტი ქეთევან ლოსაბერიძე გახლდათ.

რესპუბლიკის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, მწვრთნელ შ. ჯაშიაშვილის მოწაფემ განსაკუთრებით შარშან გამოიჩინა თავი, როცა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, ქეთევანმა შემდგომ გამართულ დიდ ტურნირებში რამდენიმე დისტანციაზე მსოფლიოს ოფიციალურ რეკორდებს გადააჭარბა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო 50 მეტრზე შეჯიბრებაში დამყარებული მსოფლიო რეკორდი (310 ქულა).

კომკავშირელმა ქალიშვილმა გულმოდგინე, დაუღალავი შრომით ინსტიტუტიც წარმატებით დაამთავრა და იქვე ლაბორანტად დაიწყო მუშაობა. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატს გარჯა დაუფასდა—საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატად აირჩიეს. სპორტსმენს გამოუცხადეს დიდი ნდობა: აქტიურად მონაწილეობდეს რესპუბლიკის კომკავშირელთა განვლილი საქმიანობის განხილვასა და სამერმისო ამოცანების დასახვაში.

* * *

სურათზე: ქ. ლოსაბერიძე სარბიელზე.

ო. გულაშვილის ფოტო.

... 19 45

◆ **შიენი** (ნორვეგია), 3 მარტი. ტანმოვარჯიშეთა აქ მიმდინარე შეჯიბრებაში სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა სავალდებულო პროგრამის შემდეგ 188,95 ქულა დააგროვა და ლიდერობა იგდო ხელთ. ნორვეგიელები საბჭოთა სპორტსმენებს 15,60 ქულით ჩამორჩებიან. პირად ჩათვლაში 38,15 ქულით დაწინაურდა ევროპის ჩემპიონი, ვიტებსკელი თ. ლაზაკოვიჩი. მას 0,25 ქულით ჩამორჩება ვორონეჟელი ლ. ბურდა. III ადგილზეა მინსკელი ა. კოშელი (37,55), IV — ვორონეჟელი ო. ვოროშილინა (37,30). მოსკოველი ტ. რტიშჩევა მეექვსეა — 35,65 ქულა.

◆ **ბუდაპეშტი**, 3 მარტი. უნგრეთის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატში ი. ტიხანიიმ 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ეს 26 წლის ატლეტი მეოთხე მხტომელია ევროპაში, ვინც წლეულს დიდოსტატური 220-სანტიმეტრიანი ზღვარი დაძლია (გავახსენებთ დანარჩენ სამს: საბჭოთა მძლეოსნები ი. ტარმაკი — 222 სმ, კ. შაპკა — 221 სმ, შვედი ი. დალგრენი — 221 სმ). უნგრეთის რეკორდი დარბაზებისთვის გაიმეორა მ. კომკამ, რომელმაც 182 სმ სიმაღლე აიღო. უნგრული მძლეოსნობის ვეტერანმა, ევროპის 1962 და 1966 წლების ჩემპიონმა ვ. ვარიუმ 19,05 მეტრზე ჰკრა ბირთვი.



# ოლიმპიადა დაიწყო

მოსკოვი, 2 მარტი. ცსკა-ს ძალოსნობის სპორტის სასახლეში გუშინ საზეიმოდ გაიხსნა თავისი მასშტაბით არნახული საჭადრაკო შეჯიბრება — საკავშირო ოლიმპიადა. როგორც თავის გამოსვლაში ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, მფრინავმა-კოსმონავტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. სევასტიანოვმა აღნიშნა, ეს შეჯიბრება ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა — ტურნირში ხომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები თამაშობენ.

ფინალში 200-ზე მეტი მოჭადრაკე გამოდის, მათ შორის, ოცზე მეტი დიდოსტატი მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ვ. სმისლოვის, მ. ტალისა და ტ. პეტროსიანის მეთაურობით. ესენი არიან მოჭადრაკეთა მილიონიანი არმიიდან საუკეთესონი, რომლებიც ორ წელიწადს იბრძოდნენ ფინალში გასასვლელად.

ოლიმპიადის მონაწილეთ მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა, აგრეთვე, ფიდე-ს პრეზიდენტი მ. ეივე (ჰოლანდია).

თავდაპირველად სამ ჯგუფად დაყოფილი გუნდები წინასწარ შეჯიბრებებს გამართავენ, მერე კი ყოველი ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო კოლექტივი მთავარ ფინალს შექმნის, სადაც გუნდებისთვის და ცალკეული მონაწილეებისთვის ჯილდოები გათამაშდება.

აი, წინასწარი ჯგუფების შემადგენლობანი: პირველი — აზერბაიჯანი, ლიტვა, თურქმენეთი, რსფსრ, ესტონეთი, ლენინგრადი; მეორე — ლატვია, ტაჯიკეთი, მოსკოვი, ბელორუსია, ყაზახეთი; მესამე — სომხეთი, უკრაინა, მოლდავეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, საქართველო.

დღეს შედგა I ტური. მან ასეთი შედეგები მოგვცა:

პირველ ჯგუფში: აზერბაიჯანი — ლენინგრადი 1,5:7,5 (სამი პარტია გადაიდო), ლიტვა — ესტონეთი 1,5:4,5 (6), თურქმენეთი — რსფსრ 0:7 (5);

მეორე ჯგუფში: ტაჯიკეთი—ყაზახეთი 1,5:6,5 (4), მოსკოვი — ბელორუსია 5:2 (5);

მესამე ჯგუფში: სომხეთი—საქართველო 2:7 (3), უკრაინა — უზბეკეთი 4:1 (7), მოლდავეთი — ყირგიზეთი 5:4 (3).

უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ოსტატ კუზმინის (აზერბაიჯანი) გამარჯვება ლენინგრადელ დიდოსტატ ტაიმანოვთან. თეთრებით მოთამაშე კუზმინი კარგად გაერკვა ბევრ გართულებაში, ინიციატივაც იგდო ხელთ და დამსახურებულ წარმატებას მიაღწია.

პირველი შედეგი ასეთი იყო: 19 წლის სტუდენტმა, ოსტატმა ლ. საუნინამ (რსფსრ) მოუგო ნორჩ დებიუტანტს ტ. შლეპნიოვას (თურქმენეთი).

მოსკოველმა დიდოსტატებმა პეტროსიანმა და სმისლოვმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ბელორუსიელ ოსტატებთან: პირველმა — კაპენგუტთან, მეორემ — კუპრეიჩიკთან.

ოლიმპიადა 15 მარტს დამთავრდება.

... 19 45




ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესტენდურეებმა სეზონი გახსნეს

ამას წინათ გაიმართა თბილისელ მესტენდურეთა ტურნირი სეზონის გახსნის ჯილდოზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქის ყველა წამყვანი სპორტსმენი, გარდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ზ. წანჩხანელისა, რომელიც, როგორც რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, ტურნირებს თვალს ადევნებდა.

ადგილიდან სროლაში თავიდანვე სპორტის ოსტატი ვ. ალავერდოვი („ლოკომოტივი") დაწინაურდა. მან პირველ სერიაში ერთ სამიზნესააცდინა. ალავერდოვს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ არმიელი სპორტის ოსტატები ა. ბუკია და ი. კონდრატიევი.

ლიდერმა პოზიციები არც მომდევნო სერიებში დათმო და 100 სამიზნედან 92 გატეხა. კონდრატიევმა და ბუკიამ 88-88 ქულა მოაგროვეს. დამატებითი სერიების შემდეგ II ადგილზე გავიდა კონდრატიევი.

მაყურებელი მრგვალ სტენდზე მსროლელებისგან ბევრს მოელოდა. ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ მონაწილეთა შორის სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის კანდიდატები — ლოკომოტიველი ტ. ჟღენტი და განთიადელი თ. მატოიანიც იყვნენ. თბილისში მათ თავი ვერ გამოიჩინეს. გამარჯვებულმა თ. იმნაიშვილმა („ლოკომოტივი") მხოლოდ 87 სამიზნე დააშია, ხოლო მატოიანმა და ჟღენტმა კიდევ უფრო ნაკლები — 85-85. დამატებით სროლაში გაიმარჯვა მატოიანმა, რომელსაც II ადგილი ხვდა.

**ჯ. მოწონელიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ადგილიდან მსროლელები სარბიელზე; მრგვალ სტენდზე შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# სსრ კავშირის რეკორდები

**ძალოსნობა**

1972 წლის 1 მარტისთვის

| წონა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| | | **აჩიმვა** | |
| უმჩატესი | 117,5 | ა. გნატოვი (ლვოვი, „ლოკომოტივი") | 1971 |
| მჩატე | 127,5 | რ. ბელენკოვი (მინსკი, „სპარტაკი") | 1971 |
| ქვემსუბუქი | 132,5 | ე. კარიმოვი (ტაშკ., „ბურევესტნიკი") | 1971 |
| მსუბუქი | 153 | ვ. დრექსლერი (ალმა-ათა, „ენბეკი") | 1971 |
| ქვესაშუალო | 165,5 | ა. კოლოდკოვი (ალმა-ათა, „სპარტაკი") | 1971 |
| საშუალო | 170 | ა. გოლუბოვიჩი (მინსკი, „დინამო") | 1970 |
| ქვემძიმე | 190,5 | ს. ტერეხოვი (ხაბაროვსკი, ასკ) | 1971 |
| მძიმე | 206,5 | ვ. იაკუბოვსკი (მოსკოვი, „დინამო") | 1972 |
| ზემძიმე | 230 | ვ. ალექსეევი (შახტი, „ტრუდი") | 1971 |
| | | **ატაცი** | |
| უმჩატესი | 101 | ს. სტრაჟინსკი (ზაპ., „ავანგარდი") | 1971 |
| მჩატე | 111 | ა. ვახონინი (შახტი, „ტრუდი") | 1970 |
| ქვემსუბუქი | 120,5 | დ. შანიძე (თბილისი, „განთიადი") | 1971 |
| მსუბუქი | 133,5 | მ. კირჟინოვი (მოსკოვი, ცსკა) | 1971 |
| ქვესაშუალო | 142,5 | ვ. კურენცოვი (მოსკ. ოლ., შეიარ. ძ.) | 1968 |
| საშუალო | 153 | გ. ივანჩენკო (რიგა, „დინამო") | 1971 |
| ქვემძიმე | 165 | დ. რიგერტი (შახტი, „ტრუდი") | 1971 |
| მძიმე | 173,5 | პ. პერვუშინი (ლენინგრადი, ასკ) | 1971 |
| ზემძიმე | 180 | ვ. ალექსეევი (შახტი, „ტრუდი") | 1971 |
| | | **აკვრა** | |
| უმჩატესი | 131 | ა. გნატოვი (ლვოვი, „ლოკომოტივი") | 1971 |
| მჩატე | 145 | გ. ჩეტინი (პერმი, „ტრუდი") | 1971 |
| ქვემსუბუქი | 154,5 | ი. გოლუბცოვი (დონ., „ავანგარდი") | 1971 |
| მსუბუქი | 173,5 | პ. კოროლი (ლვოვი, „დინამო") | 1971 |
| ქვესაშუალო | 187,5 | ვ. კურენცოვი (მოსკ. ოლ., შეიარ. ძ.) | 1968 |
| საშუალო | 195,5 | გ. ივანჩენკო (რიგა, „დინამო") | 1971 |
| ქვემძიმე | 207,5 | დ. რიგერტი (შახტი, „ტრუდი") | 1971 |
| მძიმე | 217,5 | ი. ტალტსი (ტალინი, „იოუდი") | 1971 |
| ზემძიმე | 235,5 | ვ. ალექსეევი (შახტი, „ტრუდი") | 1971 |
| | | **სამჭიდი** | |
| უმჩატესი | 340 | ვ. კრიშჩიშინი (ლვოვი, ასკ) | 1970 |
| მჩატე | 375 | გ. ჩეტინი (პერმი, „ტრუდი") | 1971 |
| ქვემსუბუქი | 400 | ი. გოლუბცოვი (დონ., „ავანგარდი") | 1971 |
| მსუბუქი | 442,5 | პ. კოროლი (ლვოვი, „დინამო") | 1971 |
| ქვესაშუალო | 482,5 | ვ. კურენცოვი (მოსკ. ოლ., შეიარ. ძ.) | 1971 |
| საშუალო | 510 | ვ. ზარიი (მინსკი, შეიარ. ძალები) | 1971 |
| ქვემძიმე | 552,5 | დ. რიგერტი (შახტი, „ტრუდი") | 1971 |
| მძიმე | 585 | ი. ტალტსი (ტალინი, „იოუდი") | 1971 |
| ზემძიმე | 640 | ვ. ალექსეევი (შახტი, „ტრუდი") | 1971 |

# ვნახოთ, რას მოიტანს დარჩენილი დრო

„მფრინავ მოთხილამურეთა" საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე სამიოდე საათი რჩებოდა. სასპარეზოდ ყველაფერი მზად იყო. ამით ვისარგებლე და საქართველოს მოთხილამურეთა მთავარ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ფ. ნავერიანს, ჩემპიონატის მთავარ მსაჯს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ნ. თვაურს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს კ. წაქაძესა და ლენინგრადელ სპორტის ოსტატს ა. ჟეგლანოვს ვთხოვე აზრი გამოეთქვათ საპოროში საბჭოთა კავშირის ტრამპლინიდან მხტომელთა უხეირო გამოსვლაზე.

მათი ნაამბობიდან მხოლოდ ასეთი საერთო დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა: ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში დაშვებულ შეცდომათა შორის მთავარი ის იყო, რომ ნაკრების ხელმძღვანელობა უმეტესად ქვეყნის სხვადასხვა ტრამპლინზე ვარჯიშსა და საერთაშორისო ტურნირებში ხშირად მონაწილეობას აძლევდა უპირატესობას. იაპონელებმა, მაგალითად, როცა ოლიმპიადა მოახლოვდა და საქმემ შინ წვრთნა მოითხოვა, 4 ტრამპლინის ტრადიციული საახალწლო ტურნეც კი მიატოვეს. სსრ კავშირის ნაკრებს ბაკურიანში ვარჯიშისთვის უფრო მეტი დრო უნდა დაეთმო, როგორც მორბენლები მოიქცნენ (მათ ბაკურიანში თითქმის მთელი თვის მანძილზე ივარჯიშეს და საბჭოთა ნაკრებმა ოლიმპიადაც სწორედ მორბენლების წყალობით მოიგო).

სპორტსმენთა ბრძოლისუნარიანობა ნაკრების წევრთა საბოლოო შემადგენლობის შერჩევის გაჭიანურებამ უფრო დააქვეითა: არც ერთმა „მფრინავმა მოთხილამურემ" (ნაპალკოვის გარდა) ბოლო მომენტამდე არ იცოდა, ვინ მიიღებდა XI ოლიმპიადის საგზურს. ეს სპორტსმენებს ზედმეტად ანერვიულებდა. იმის მაგიერ, რომ გუნდი ოლიმპიადამდე, სულ ცოტა, ორი თვით ადრე მაინც დაკომპლექტებულიყო და სპორტსმენებს გულდამშვიდებით ვარჯიშის შესაძლებლობა მისცემოდათ, ნაღდი კანდიდატებიც კი (წაქაძე, ჟეგლანოვი, იანინი, ბელოუსოვი) შესარჩევ შეჯიბრებებში საგზურის მოპოვებისთვის თავს აღარ ზოგავდნენ. საკითხი საბოლოოდ ბაკურიანში, სსრ კავშირის თასის გათამაშების შემდეგ გადაწყდა. ნაკრების ხელმძღვანელები ყველა წევრისგან მედლის მოპოვებას მოითხოვდნენ. ყოველივე ამან დაქანცა სპორტსმენები და საპოროს სტარტებს ისინი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი შეხვდნენ.

არ ვიცით რას იტყვიან თვითონ „მფრინავ მოთხილამურეთა" ნაკრების ხელმძღვანელები, მაგრამ ზემოდასახელებული სპეციალისტებისა და სპორტსმენების მოსაზრებანი, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ არის.

... ბაკურიანში მედლების მთლიანი კომპლექტის გასანაწილებლად საზოგადოებებისა და უწყებების 53 საუკეთესო სპორტსმენმა მოიყარა თავი. ჯილდოები მხოლოდ 90-მეტრიან ტრამპლინზე თამაშდებოდა.

მონაწილენი გასული სეზონის შედეგების მიხედვით სამ ჯგუფად დაიყვნენ. ბოლო ჯგუფში მოხვდნენ ფავორიტები, რომელთა შორისაც, სპეციალისტთა აზრით, პირველობის ბედი უნდა გარკვეულიყო.

მიუხედავად ამისა, პირველ ცდაზე მოულოდნელად დაწინაურდა სწორედ ეგრეთ წოდებული „სუსტების" ჯგუფის წარმომადგენელი, გორკელი ვ. კუზნეცოვი („სპარტაკი"), რომელიც 99 მეტრზე გადახტა და 106 ქულა დაიმსახურა. მეორე ჯგუფის წევრებიდან მისი ჩამოტოვება ვერავინ შეძლო. პერმელი ვ. ბელოვი („დინამო") მხოლოდ მიუახლოვდა კუზნეცოვს, როცა 96,5 მეტრზე გადახტომისთვის 102,5 ქულა დაიმსახურა.

ლიდერმა ფავორიტთა (ცხრა კაცი) შემოტევას კი ვეღარ გაუძლო. მას ჯერ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა, გორკელმა მ. ვერეტენიკოვმა („შრომითი რეზერვები") აჯობა, რომელმაც 99-მეტრიანი ნახტომისთვის 108,3 ქულა დაიმსახურა. მერე კი მას პერმელმა ოსტატმა, 21 წლის ვ. გალუშინმაც („სპარტაკი") გაუსწრო — 97 მ, 106,7 ქულა. ბოლოს ლენინგრადელმა ა. ჟეგლანოვმა („შრომითი რეზერვები") ყველა ჩამოიტოვა. იგი 104 მეტრზე გადახტა და 121,9 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. კუზნეცოვს ბევრით არც მოსკოველი არმიელი ს. ბოჩკოვი (96,5 მ, 105 ქულა) და პერმელი ს. ზონტოვი (98 მ, 105,6 ქულა) ჩამორჩნენ.

წაქაძე (საბჭოთა არმია) ბოჩკოვზე, ზონტოვზე და ჟეგლანოვზე ადრე ხტებოდა. მართალია, სამივე ძლიერი სპორტსმენია, მაგრამ კობა მათგან ბევრის მოგებას არ ელოდა და მეორე ცდის იმედით, რისკი არ გასწია. წაქაძის 96-მეტრიანი ნახტომი მსაჯებმა ტექნიკისთვის 50 ქულით შეაფასეს. ეს ნახტომი ჟეგლანოვისას თუ არ სჯობდა, არაფრით ჩამორჩებოდა. წაქაძემ პირველი ცდით 105,8 ქულა მოაგროვა, რაც მხოლოდ მეხუთე შედეგი იყო.

მეორე ცდაზე მაყურებელთა ყურადღების ცენტრში სწორედ ზემოთ დასახელებული სპორტსმენები მოექცნენ. მათს დავაში ჩარევა ვეღარავინ შეძლო და ჟეგლანოვის მაჩვენებელს მხოლოდ ოქროს მაძიებლებმა შეუტიეს. ბელოვმა ძველ ნადავლს 100,5 მეტრზე გადახტომით 108,6 ქულა მოუმატა და შეჯიბრება 211,1 ქულით დაამთავრა. ვერეტენიკოვმა ნახტომი მეტრით გააუარესა და საბოლოოდ 215,1 ქულას დასჯერდა. გალუშინს მეტი გამბედაობა აღმოაჩნდა — 100 მეტრზე გადახტომისთვის კიდევ 111,9 ქულა მიიღო და 218,6 ქულა დაიმსახურა. მაგრამ სიხარული ნაადრევი იყო. ჯერ წაქაძე 102,5 მეტრზე გადახტა (114,9 ქულა) და ტურნირი 220,7 ქულით დაამთავრა, შემდეგ კი გალუშინს კინაღამ ბოჩკოვმაც გაუსწრო.

ბოლო სიტყვა ჟეგლანოვს ეკუთვნოდა. როცა წაქაძის შედეგი გაიგო, არ ესიამოვნა. ახლა ყველაფერი ლიდერის გადამწყვეტ ნახტომზე იყო დამოკიდებული. ჟეგლანოვი ღელავდა, რაც მეორე ცდასაც დაეტყო — სპორტსმენი 96,5 მეტრზე გადახტა და ტექნიკაშიც საკმარისი შეცდომები დაუშვა. მაგრამ ჟეგლანოვს აქ ტექნიკის შემფასებელი მსაჯები დაეხმარნენ: ნახტომი 105,6 ქულით შეუფასეს.

ამრიგად, სსრ კავშირის ჩემპიონობა პირველად მოიპოვა ჟეგლანოვმა — 227,5 ქულა. წაქაძეს ვერცხლის მედალი ხვდა, გალუშინს — ბრინჯაოსი.

„მფრინავი მოთხილამურეები" ბაკურიანს დაემშვიდობნენ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ კ. წაქაძემ გვითხრა:

— ახლა ლაჰტის ტრადიციულ თამაშებში სასპარეზოდ ფინეთში მივემგზავრები. შემდეგ პლანიცის (იუგოსლავია) გიგანტურ ტრამპლინზე დედამიწის სხვა უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატში ვიასპარეზებ. მარტის დამლევს კიროვსკში გამოვალ, რათა 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული დავიცვა...

ვნახოთ, რას მოიტანს დარჩენილი დრო.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

# წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: ლელობურთში — ლ. გარდავას, გ. დარასელიას, ვ. ბელქანიას, ო. ჯიქიას, ა. კაკულიას, რ. ჩახაიას, ე. ჯიქიას, კ. ფიფიას, გ. რევიას, ზ. ქარდავას, ნ. მაქაცარიას, გ. მაქაცარიას, ა. ბეჭვაიას, ტ. ბეჭვაიას, ჯ. ჭუხუას, გ. ბობოხიას, გ. თოდუას, პ. ჭეჟიას (ყველა — ზუგდიდის „კოლმეურნე"), კ. ტუსკაძეს, კ. ჭინჭარაულს, ნ. ჯერანოვს, გ. ცქიფურიშვილს, ჯ. გეწაძეს, რ. ნერგაძეს, დ. წიკლაურს, პ. დარსაველიძეს (ყველა — სამტრედიის „კოლმეურნე"), გ. გურგენიძეს (ჩოხატაურის „კოლმეურნე"); ცხენოსნობაში — რ. ოთხოზორიას (ცხაკაიას „კოლმეურნე"); ქართულ ჭიდაობაში — ი. გაგნიძეს (თელავის „კოლმეურნე"), ა. ტერუნაშვილს, გ. გურასპაშვილს, გ. ალექსიძეს (სამივე — გორის „კოლმეურნე"), ა. ბერიაშვილს, ი. ღვინაძეს (ორივე — კასპის „განთიადი"), შ. ბახტაძეს, ვ. გოგიბედაშვილს, გ. რამაზაშვილს (ყველა — კასპის „კოლმეურნე"), ვ. გუმაშვილს, გ. კურაპედიანს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"), მ. კისიშვილს, ვ. კისიევს, თ. ტურიევს (სამივე — ცხინვალის „კოლმეურნე"), თ. გეთიაშვილს (გურჯაანის „კოლმეურნე"), ვ. ფალელაშვილს (გორის „განთიადი"), გ. თედიაშვილს, ზ. წენგუაშვილს (ორივე — თბილისის ასკ), ო. გურასპაშვილს (თბილისის „ლოკომოტივი"), მ. კენჭაძეს (თბილისის „სპარტაკი"), ა. მარველანს, გ. ხანგოშვილს (ორივე — თბილისის „დინამო"), ვ. ტადტაევს (ზნაურის „კოლმეურნე"), ვ. კბილაშვილს (გარდაბნის „კოლმეურნე"), რ. მჭედლიძეს (რუსთავის „განთიადი"), გ. გოდელაშვილს, ა. კვინიკაძეს, კ. გოდელაშვილს, ს. გურასპაშვილს, გ. ეგნატაშვილს (ყველა — გორის „დინამო"), ო. მაისურაძეს (სოხუმის „ბურევესტნიკი"), ა. გვრიტიშვილს (დუშეთის „კოლმეურნე").

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ: მშვილდოსნობაში — ა. მამაევს (თბილისის „სპარტაკი"), შ. ჯაშიაშვილს (ქუთაისის „ბურევესტნიკი"); ფეხბურთში — ო. კინწურაშვილს (თბილისის „ლოკომოტივი"), ი. შუდრას (თბილისის „განთიადი"), ა. მესხს (თბილისის „ბურევესტნიკი"), ბ. კარკოვს (თბილისის „შრომითი რეზერვები"); აკადემიურ ნიჩბოსნობაში — ო. ხომერიკს (ფოთის „ვოდნიკი"), ა. ხამხაძეს (მცხეთის „სპარტაკი"), ო. ბერელიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი"), ა. ნიკოლაევს (თბილისის ასკ); ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში — ნ. რაზმაძეს (თბილისის ასკ), ა. მატკავას (ქუთაისი), თ. ალიბეგაშვილს (მცხეთის „განთიადი"); კლასიკურ ჭიდაობაში — მ. თავართქილაძეს (მახარაძის „კოლმეურნე"); თავისუფალ ჭიდაობაში — ვ. არსენიანს (თბილისის „დინამო"), გ. ბარბაქაძეს (ხაშურის „შრომითი რეზერვები"); სამბოში — დ. ჩაჩანიძეს (რუსთავის „შრომითი რეზერვები"), ბ. ქოჩიშვილს (ახმეტის „სპარტაკი").



სსრ კავშირის ჩემპიონატი

# არმიელები — აღმავლობის გზაზე

თბილისი. სპორტის სასახლე. 2 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (კიევი) 81:86 (43:40).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: ქორქია (გუნდს შესძინა 26 ქულა), უგრეხელიძე (17), სხიერელი (11), ფიცხელაური (10), ბოლქვაძე (9), საკანდელიძე (4), მაღალაშვილი (2), ვასიუტინსკი (2).

ასკ: ხრომაევი (18), ფილოზოფი (16), ჩეჩურა (12), სალუხინი (12), ოკიპნიაკი (11), შუტოვი (7), სუშაკი (6), ჩუგუნოვი (2), დერბენცევი (2), ნიკოლაევი, ეგოროვი, გუზაჩევი.

მსაჯები — ა. კოკარევი, მ. დავიდოვი (ორივე — მოსკოვი).

დუბლიორები—93:81 (58:53) „დინამოს“ სასარგებლოდ.

კიეველმა არმიელებმა ჩემპიონატის პირველი წრე 3 ქულით დაამთავრეს, მეორე წრის ექვს მატჩში კი ამდენივე ქულა აიღეს, ამასთან, განსაკუთრებული აღმავლობით თამაშობენ ბოლო შეხვედრებს: ჩვენი სტუმრები საშიშ ზონაში არიან და ძალას არ იშურებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მართო სატურნირო ცხრილის მიხედვით გუნდის სიძლიერესა და სისუსტეზე ლაპარაკი წყალში თევზის თვლას უდრის. ერთი რამ კი მატჩამდე იყო ცხადი: კიეველთა გუნდი აღმავლობის გზაზეა და ბევრ მეტოქეს იგი, როგორც იტყვიან, სისხლს გაუშრობს. არმიელები პირდაპირ რისხვად მოევლინენ ლიტველთა ორ გუნდს — „ჟალგირისსა“ და „სტატიბას“: მათ ორივე წრეში სძლიეს ლიტველებს და ქულათა მაქსიმუმი აართვეს. ერთი სიტყვით, მათთან თამაშს დინამოელები მთელის სერიოზულობით უნდა მოჰკიდებოდნენ. მით უმეტეს, რომ კიევში თბილისელებს ძალიან გაუჭირდათ ამ მეტოქის დამარცხება, რაზეც ანგარიშიც ნათლად მეტყველებს — 67.66.

მატჩის დასაწყისი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა და საგრძნობლად დაწინაურება ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. კარგად ითამაშა ფიცხელაურმა, რომელმაც ორიოდე წუთში გუნდს 6 ქულა მოუტანა. შუა ტაიმში ქორქიამ ზედიზედ 4 ბურთი მოათავსა კიეველთა კალათში და მე-13 წუთის მიწურულისთვის თბილისელები იგებდნენ — 27:21.

ტაიმის დასასრულამდე 5-6-ქულიანი სხვაობით წინ იყვნენ დინამოელები. ბოლო წუთზე სალუხინისა და ოკიპნიაკის წყალობით არმიელებმა სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანეს.

შესვენების შემდეგ უკვე მე-2 წუთზე ხუთი შენიშვნის გამო მოედანი დატოვა ოკიპნიაკმა, მაგრამ კიეველები არ დაბნეულან: სალუხინმა, ხრომაევმა და სუშაკმა მე-4 წუთის მიწურულისთვის დააწინაურეს გუნდი — 52:50. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხრომაევი. მან საიმედოდ ჩაკეტა თბილისელთა მთავარი გამთამაშებელი საკანდელიძე და კალათში ზუსტი ტყორცნებით გუნდს საჭირო ბალანსი შეუქმნა. არ გვინდა არმიელთა მეგობრული კოლექტივიდან რომელიმე სოლისტზე ვილაპარაკოთ, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ გუნდის ვეტერანი ჩეჩურა. იგი მხოლოდ შეხვედრის მეორე ნახევარში გამოვიდა მოედანზე, მაშინ, როცა ოკიპნიაკის ბედი შუტოვმა და სალუხინმა გაიზიარეს. ბევრი ხარისა რქებიც ხნავენო, უთქვამს ქართველ კაცს. ეს ბრძნული ნათქვამი მოგვაგონდა, როცა ჩეჩურას თამაშს ვუყურებდით. იგი საოცარი სიზუსტით ისროდა კალათში და აქტიურად ეხმარებოდა თანაგუნდელებს დაცვაში. არმიელები ძალიან შეთანხმებულად მოქმედებდნენ და მე-15 წუთისთვის ისევ დაწინაურდნენ — 72:71. როცა მატჩის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, ჩვენი სტუმრები 7 ქულით იგებდნენ — 84:77.

სასწაულსაც კი არ შეეძლო დინამოელები დამარცხებისგან ეხსნა, მაგრამ მით უფრო გასაკიცხი არიან ინერტული და დაბნეული თამაშისთვის.

არმიელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს და იმედიანად შეუძლიათ მომავალს უცქირონ. დინამოელები კი კიდევ უფრო დაუახლოვდნენ საშიშ ზონას.

ა. მხეიძე.

## მეორე წრე უდანაკარგოდ

## ჯერჯერობით პრიზიორთა შორის

გაიმართა მორიგი ტურის ორი მატჩი.

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ. ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ მეათე წაგება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში, თუმცა ამ წარუმატებლობას შესაძლოა ჰქონდა კიდეც ლოგიკური საფუძველი. საქმე ისაა, რომ XVII ტურში ლიტველმა კალათბურთელებმა ბრძოლა დაუთმეს ცსკა-ს, რომელიც მეორე წრის მატჩებს დაუმარცხებლად ატარებს. არმიელთა უპირატესობა ორივე ტაიმში საგრძნობი იყო, რაც კარგად ჩანს ანგარიშიდანაც — 87:68.

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ. მოსკოვის დინამოელებთან ბოლო მატჩში გამარჯვების შემდეგ (80:72) „კალევმა“ სატურნირო ცხრილში III ადგილზე გადაინაცვლა. მართალია, ესტონელ კალათბურთელებს, ისევე როგორც კიევის „სტროიტელს“, 8 ქულა აქვთ („კალევმა“ ორი მატჩით მეტი ჩაატარა), მაგრამ ურთიერთ შეხვედრათა შედეგების მიხედვით უპირატესობა ჯერჯერობით მათს მხარეზეა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 16 | 15 | 1 | 1120—996 | 15 |
| ცსკა | 15 | 14 | 1 | 1271—1023 | 14 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 16 | 8 | 8 | 1150—1183 | 8 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 14 | 8 | 6 | 997—932 | 8 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 17 | 7 | 10 | 1272—1271 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 14 | 6 | 8 | 1072—1053 | 6 |
| „დინამო“ (თბილისი) | 15 | 6 | 9 | 1134—1180 | 6 |
| ასკ (კიევი) | 15 | 6 | 9 | 992—1100 | 6 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 14 | 3 | 11 | 941—1030 | 3 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 16 | 3 | 13 | 1089—1280 | 3 |

## 91 : 48, 96 : 48

2 მარტს გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა ნახევარფინალური მატჩები კალათბურთელ ქალთა შორის.

რიგის ტტტ-მ უმასპინძლა იტალიის ქალაქ სესტო-სან-ჯოვანის „ჩეასს“ და გაიმარჯვა — 91:48 (48:20).

ლენინგრადის „სპარტაკმა“ თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში შინ დაამარცხა მონსო-ლე-მინის (საფრანგეთი) „ქერბი“—96:48 (57:26).

საპასუხო შეხვედრები იტალიასა და საფრანგეთში გაიმართება 9 მარტს.

## ფეხბურთი

◆ მოულოდნელი შედეგით

◆ კიდევ ორი მატჩი

1 მარტს ერევანში გამართული მატჩი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — ადგილობრივი „არარატი“ ანგარიშით 0:2 დამარცხდა ლენინგრადის „დინამოსთან“. ორივე ბურთი კონდრაშოვმა გაიტანა.

ამ დღეს გამართული მატჩების შედეგები ჩვენ წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ. სტატისტიკის მოყვარულთ ვატყობინებთ, რომ კიევის „დინამოსა“ და ივანოვოს „ტექსტილშჩიკის“ შეხვედრაში (2:1) ბურთები გაიტანეს დინამოელებმა შევჩენკომ და ვერემეევმა, ივანოველმა პოტაპოვმა. ლენინგრადის „ზენიტისა“ და ფრუნზეს „ალგას“ (1:0) თამაშში ერთადერთი გოლის ავტორად ვიუნი მოგვევლინა.

2 მარტს სოჭში ცსკა-მ სძლია ორჯონიკიძის „სპარტაკს“ — 1:0. ეს ერთადერთი გოლი დუდარენკომ გაიტანა.

ხოსტაში ერთმანეთს შეხვდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“. შესვენებამდე მეტოქეებმა თითოჯერ აიღეს ერთმანეთის კარი (ჯერ რომანიუკმა, მერე — აბდურაიმოვმა), მეორე ტაიმში კი იმავე რომანიუკმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გამარჯვება „დნეპრს“ მოუტანა — 2:1.

* * *

სსრ კავშირის თასზე





როგორც ცნობილია, 28 თებერვალს სოხუმის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მინსკის „დინამო“ და ყარაგანდის „შახტიორი“. სურათზეც ამ გუნდების შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

გ. იაშვილის ფოტო.

# მივბაძოთ უნივერსიტეტელებს!

ამას წინათ სამტრედიაში, „ლოკომოტივის“ სპორტულ დარბაზში, გაიმართა 1954-56 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში, რომელმაც ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, მონაწილეობდა 11 გუნდი თბილისიდან, გორიდან, ახმეტიდან, თელავიდან, დუშეთიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან. გამარჯვებისთვის სულ 130-მდე ჭაბუკი იბრძოდა.

წარმატებას მიაღწიეს თბილისელმა ფალავნებმა (გუნდში გამოდიოდა უნივერსიტეტის ხუთი მოჭიდავე, ორი სპორტსმენი პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან და ერთიც — „ლოკომოტივიდან“). მათი გამარჯვება დამაჯერებელი და კანონიერი იყო. II ადგილი წილად ხვდათ გორელ, III — ახმეტელ ფალავნებს.

სამართლიან საყვედურს იმსახურებენ ყვარლის, გურჯაანის, საგარეჯოს, რუსთავისა და სხვა ქალაქების ჭიდაობის მესვეურნი, რომლებმაც სამტრედიაში გუნდები ვერ ჩამოიყვანეს. საყვედურს იმსახურებენ ისინი იმიტომაც, რომ ზემოჩამოთვლილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს ქართული ჭიდაობის დიდი ტრადიციები აქვთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტურნირში წარმატებას თბილისელმა სპორტსმენებმა მიაღწიეს. ეს მნიშვნელოვანწილად უნივერსიტეტელთა მონდომებამ და თავდაუზოგავმა მუშაობამ განაპირობა. ჩვენი რესპუბლიკის უძველეს უმაღლეს სასწავლებელში ყურადღებას აქცევენ სპორტის ამ ეროვნულ სახეობას და ყოველმხრივ უწყობენ ხელს ახალგაზრდა ფალავანთა დაოსტატებას. აი, ერთი მაგალითი: ასპარეზობაში თავი გამოიჩინა საქართველოს სამგზის ჩემპიონმა დ. ჯუგაშვილმა. იგი უდავოდ უძლიერესი იყო თავის წონაში, იბრძოდა ლამაზად, გაბედულად და, ცხადია, მაყურებელთა საერთო სიმპათიაც დაიმსახურა. ჯუგაშვილის ოსტატობა ჩვენს თვალწინ იზრდება და ყალიბდება, სპორტსმენი და მისი მწვრთნელი ა. ფიცხელაური ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რათა ყოველ ასპარეზობას სათანადოდ მომზადებული შეხვდნენ.

თავი გამოიჩინეს ფიცხელაურის მეორე აღსაზრდელმა რ. ჭიკაიძემ, ბ. მაზიაშვილის შეგირდმა ჯ. კბილაშვილმა (ისიც უნივერსიტეტიდანაა), აგრეთვე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დ. კოდანოვმა და უ. გაგუნაშვილმა, რომლებსაც მ. გოგოლაური წვრთნის.

სხვა პერსპექტიულ მოჭიდავეთა შორის უნდა დავასახელოთ დუშელი გ. კარიაული. მან, მართალია, პრიზიორთა შორის ვერ დაიმკვიდრა ადგილი, მაგრამ სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საქმე ისაა, რომ კარიაული 1958 წელსაა დაბადებული და ამ ტურნირში ექიმის სპეციალური ნებართვით დაუშვეს. გაბედული, ლამაზი და ტექნიკური ჭიდაობით კარიაულმა საერთო მოწონება დაიმსახურა. გვწამს, რომ იგი სულ მალე უძლიერესთა მწყობრში ჩადგება.

ერთი პატარა შენიშვნა ახმეტელ მოჭიდავეთა მისამართით, რომლებიც მუდამ გამოირჩეოდნენ ლაზათიანი ჭიდაობით და ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს: საბრძოლველად გამზადებულ კოლექტივს ტრადიციულად მოუგვარებელი აქვს დოკუმენტაცია, რაც ორგანიზაციული უხერხულობის მიზეზი ხდება მუდამ. ამ ნაკლის გამოსწორება ადვილია: გუნდის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს საბუთების გაფორმებისას. ეს არის და ეს.

ნ. ახვლედიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სამტრედია.

• • •

ახლა კი გაგაცნობთ პრიზიორებს:

52 კგ. 1. თ. ნოსელიძე (ქუთაისი), 2. გ. ხუციშვილი (გორის რაიონი), 3. გ. კაზიევი (ცხინვალი).

56 კგ. 1. დ. ჯუგაშვილი (თბილისი), 2. მ. გამდლიშვილი (გორი), 3. ბ. ფოთოლაშვილი (თელავი).

60 კგ. 1. კ. არაბული (ახმეტა), 2. ვ. შაქარაშვილი (თბილისი), 3. გ. ჩოჩიშვილი (გორის რაიონი).

64 კგ. 1. დ. კოდანოვი (თბილისი), 2. ნ. რჩეულიშვილი (ახმეტა), 3. თ. აკოფაშვილი (გორი).

68 კგ. 1. ი. განჯელაშვილი (გორის რაიონი), 2. თ. ბეგიჯანიშვილი (გორი), 3. ი. დალაქიშვილი (თელავი).

73 კგ. 1. უ. გაგუნაშვილი (თბილისი) 2. გ. იობიძე (ქუთაისი), 3. თ. ჩხუტიაშვილი (დუშეთი).

79 კგ. 1. ჯ. კბილაშვილი (თბილისი), 2. ვ. კაზიევი (ცხინვალი), 3. თ. ქელეხსაშვილი (ახმეტა).

მძიმე. 1. რ. ჭიკაიძე (თბილისი), 2. მ. მერკვილაძე (ქუთაისი), 3. თ. ხუბულური (გორი).

## ყინულის მოედნებზე

გუშინწინ გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები, რომლებიც ასე დამთავრდა: „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) — ცსკა 5:8, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (ორივე — მოსკოვი) 1:5, ასკ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 2:4.

◆ ზუგდიდი

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ჯვარზენის სასროლეთზე ჩაატარა ენგურჰესის მშენებელთა შიდასაკოლექტივო პირად-გუნდური პირველობა პისტოლეტით სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 5 კოლექტივის 25 მსროლელი. საერთო გუნდური I ადგილი ენგურჰესის მე-3 ავტოსატრანსპორტო კონტორის ნაკრებმა დაიკავა. პირად ტურნირში ყველას აჯობა ი. მელქაძემ (ენგურჰესმშენი).

ბ. ალშიბაია.

## [illegible]-72

● ᲑᲝᲜᲘ, 1 მარტი. მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა ევროპული ლიგის პირველობის გათამაშებაში მესამე გამარჯვება იზეიმეს, ამჯერად ანგარიშით 5:2 სძლიეს გფრ-ის ნაკრებს. ამ მატჩში თავი გამოიჩინეს გამოცდილმა ოსტატებმა — მოსკოველებმა ზ. რუდნოვამ და ს. გომოზკოვმა, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს. მხოლოდ ტურნირის დებიუტანტმა, ლვოველმა ა. სტროკატოვმა იწვნია მარცხის სიმწარე ერთეულთა ორივე თამაშში. გათამაშებაში კვლავინდებურად ლიდერობს ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელმაც ოთხივე მატჩში წარმატებას მიაღწია. საბჭოთა ნაკრებს ოთხ შეხვედრაში სამი მოგება აქვს.

● ᲛᲘᲜᲡᲙᲘ, 2 მარტი. 12 ქვეყნის 120 „კლასიკოსი“ ჩაება ი. პოდდუბნის აქ დაწყებულ ტრადიციულ მემორიალში. საჭიდაოდ ჩამოვიდნენ ავსტრიის, ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, შვეციის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილი ათლეტები. ყველაზე ხალხმრავალია სსრ კავშირის ნაკრები — ამ გუნდის ღირსებას 62 სპორტსმენი იცავს. შეჯიბრების პირველ დღეს ყველაზე სწრაფად გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორმა, ომსკელმა ხალილოვმა (74 კგ). მან 3 წუთსა და 51 წამში ბეჭებზე დასცა ბულგარელი ივანოვი. ასევე წმინდად გაიმარჯვა ვიტებსკელმა ხიტრიაკოვმა (48 კგ), რომელმაც სძლია ეგვიპტელ საიდს. მსოფლიო ჩემპიონ კაზაკოვს (ტაშკენტი) ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია იაპონელმა სტუდენტმა ტისიომ. კაზაკოვმა მხოლოდ ქულებით სძლია მეტოქეს. მსოფლიო ჩემპიონმა, ალმაათელმა ბაკულინმა აშკარა უპირატესობით სძლია სალეს (ეგვიპტე). ტურნირი 5 მარტს დამთავრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შახმურადოვი: „თუ გიყვარს... ბოლომდე მიჰყევი“



ვინ არის იური შახმურადოვი? გულუბრყვილო კითხვაა, არა? ჭიდაობის ყველა მოყვარული არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს ყველა კუთხეშიც უმალვე გიპასუხებთ: იური შახმურადოვი მსოფლიოს 1970 წლის პირველობის ოქროს ლაურეატია, ევროპის ორგზის ჩემპიონი. რამდენჯერ გაუმარჯვნია სხვადასხვა საკავშირო ასპარეზობაში, ამაზე თვით იურისაც უჭირს სწრაფად პასუხის გაცემა.

თუ სიტყვა შახმურადოვზე ჩამოვარდებოდა, უფრო კვალიფიციური ჭიდაობის მოყვარულები, კერძოდ, საქართველოში, აუცილებლად გაიხსენებდნენ მის შეხვედრებს ცნობილ ქართველ ფალავნებთან გურამ სალარაძესთან, ლევან თედიაშვილთან და სხვებთან, მოიგონებდნენ თბილისის 1965 წლის საერთაშორისო ტურნირს, სადაც ქართველმა მაყურებელმა ფაქტიურად პირველად გაიცნო იური. ეს ნაცნობობა მრავალმხრივ ნიშანდობლივი აღმოჩნდა. იური შახმურადოვის ჭიდაობის მანერა თითქოს ქართული სკოლიდან იღებდა სათავეს, მას თითქოს ეს „დაუსწრებელი“ სასწავლებელი დაემთავრებინა. აი, ამიტომაც ჩვენმა მაყურებელმა უცებ შეიყვარა მახაჩყალელი ფალავანი. დიახ, შახმურადოვის სპორტულ კარიერასთან ბევრი საინტერესო და საგულისხმო ეპიზოდია დაკავშირებული.

და მაინც, ვინ არის იური შახმურადოვი? არა, ჩვენ ამას პირვანდელი მნიშვნელობით არ გეკითხებით. უბრალოდ, დიდი მოჭიდავის პიროვნება, ისევე როგორც საზოგადოდ სპორტსმენისა, შეუცნობელი რჩება, როცა მხოლოდ სპორტული ინფორმაციით ხარ შემოფარგლული.

დღევანდელ სამყაროში გაფაციცებით ადგენენ ცნობილი სპორტსმენების „დოსიეს“. აინტერესებთ არა მარტო მათი შედეგები, მონაცემები, ფსიქოლოგიური „მდგრადობა“, არამედ სპორტსმენთა ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანიც კი. ეს არის ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული თავისებური სპორტული „ჯაშუშობის“ მეთოდი. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ „დოსიეში“ პასუხს იპოვით შემდეგ კითხვებზეც კი: უყვარს თუ არა ნათესავები, მეგობრები, რა აზრისაა ოჯახურ ცხოვრებაზე, რომელი ფერი უყვარს, რას გამოჰყავს წონასწორობიდან?...

ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ აზრადაც არ მოგვსვლია, როცა იური შახმურადოვს ათასნაირი შეკითხვები მივეცით არა მარტო მისი სპორტული, არამედ პირადი ცხოვრების შესახებ. იურის გაეღიმა და გვითხრა: უკვე რამდენიმე წელია ქვესაშუალო წონაში ქართველი ფალავნების მთავარ მეტოქედ ვითვლები. იქნებ ამიტომაც გსურთ გაიცნოთ იური შახმურადოვი?

ჩვენი საუბარი იურისთან სპორტის სასახლეში, ვახტანგ ბალავაძის სახელობის პრიზზე საერთაშორისო ტურნირის დღეებში გაიმართა. შახმურადოვი თავს უქეიფოდ გრძნობდა, მაგრამ მაინც ჩამოვიდა თბილისში, რათა საკუთარი თვალით ენახა ორი მთავარი კონკურენტის — გერმანელი შტოტმაისტერისა და ქართველი ლევან თედიაშვილის ჭიდაობა.

— ეჰ, ძნელი ყოფილა მაყურებლის როლი. არ მერჩივნა თავზე ხელი ამელო და ხალიჩაზე გავსულიყავი? შემიკლა კაცი სხვების მაგიერ ნერვიულობამ... თუმცა, ორჯერ უკვე გამოვცადე, რა ყოფილა მოქმედი სპორტსმენისთვის უქმად ყოფნა...

უცებ შახმურადოვმა საუბარი შეწყვიტა. ხალიჩაზე რაღაც დაუჯერებელი ამბავი ხდებოდა. თედიაშვილს ხელში მოეგდო ამერიკელი ჯონ პეტერსონი და საჰაერო ბურთივით ათამაშებდა. ბოლოს ეს ილეთების „შადრევანი“ დამთავრდა და ბეჭებზე გართხმული ამერიკელი კარგა ხანს გაოგნებული შეჰყურებდა სპორტის სასახლის მაღალ თაღს.

— ლამაზად ჭიდაობს, ძალიან ლამაზად... ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ორჯერ მომიხდა მაყურებლის როლში ყოფნა. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან ორჯერ ნაკრების „ოქროს რეზერვი“ გახლდით. პირველად ეს იყო ლონდონის 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. ვერ იქნა და ვერ მოვიშორე ეს ერთობ საეჭვო ღირსების მეტსახელი. თუმცა, მის ჩამოშორებას მანამდე თითქმის ორი წელი მოვანდომე. 1963 წელს 20 წლისა ვიყავი. აზრადაც არ მომდიოდა, თუ ნაკრებში მიმიწვევდნენ. იმ პერიოდში სალარაძე თავისი სპორტული ნიჭის სრული გაფურჩქვნის ხანაში იყო. მე კი მხოლოდ იმის დატრაბახება შემეძლო, რომ მოგებული მქონდა პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატი და კიდევ რამდენიმე არც თუ ისე მნიშვნელოვანი შეჯიბრება. და უცებ, ნაკრების წევრობის კანდიდატად მასახელებენ. ჩავდივარ შეკრებაზე. ახლა არ იტყვით, იქ ვინ დამხვდნენ? მედვედი, რუბაშვილი, სალარაძე, ალიევი, ივანიცკი... ერთი სიტყვით, ძლიერნი ამა ქვეყნისა. ისე დავიმორცხვე, როგორც გამოცდაზე შესულმა სტუდენტმა. აბა, ასეთ ხალხში რისი გამკეთებელი ვარ-მეთქი, ვიფიქრე. გულთბილად მიმიღეს, უცხოობა არ მაგრძნობინეს, მაგრამ ნაკრებში გამოძახება ჩემთვის (გულახდილად გეუბნებით) ერთობ ნაადრევად ჩავთვალე. თითოოროლა ჩემეული ილეთი ვუჩვენე, ვიჭიდავე და... შინ დავბრუნდი. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. მე ძალა მომემატა. მეტი პასუხისმგებლობით დავიწყე ვარჯიში. და აი, 1965 წელს ისევ მეძახიან ნაკრებში, სალარაძის დუბლიორად. არა, სხვანაირად არ გამიგოთ, სალარაძე მაშინაც და ახლაც ჩემთვის სამაგალითო მოჭიდავეა, მაგრამ... მაინც ძნელია დუბლიორად ყოფნა, მით უმეტეს, როცა ნაკრებთან ერთად მიემგზავრები საზღვარგარეთ მსოფლიო ჩემპიონატზე. ჰოდა, იქ ისე განვიცადე ტრიბუნაზე ყოფნა, რომ თქვენს მტერს... ცალკე დუბლიორის როლი მეხამუშებოდა და ცალკე გულშემატკივრობამ დამაღნო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. როგორც იქნა, გავიკაფე გზა მსოფლიო სარბიელზე. ნაკრების ძირითად წევრად ვითვლებოდი ვიდრე ლევანი გამოჩნდებოდა. და აი, კვლავ დუბლიორის როლი მერგო. სხვები ჭიდაობენ, მე კი „არხეინად“ ვუყურებ სოფიის 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. მაგრამ ამჯერად ეს ამბავი წინანდელივით აღარ განმიცდია: ღმერთმანი, ოქროსავით ბიჭმა შემცვალა. სულითა და გულით ვამხნევებდი თედიაშვილს, მეგობრულად ვარიგებდი. რაც უნდა იყოს, ახალბედაა მსოფლიო სარბიელისთვის. მე მისთვის უფროსი მეგობარი ვარ, ის კი, ნუ ეწყინება ლევანს, ჩემი სპორტული „მემკვიდრე“. განა არ მეორდება ჩემი და გურამის ადრინდელი ურთიერთობა? ასევე მამხნევებდა სალარაძე, ასევე ზრუნავდა ჩემი შემდგომი დაოსტატებისთვის. მაპატიეთ პათეტიკური სიტყვები, მაგრამ სწორედ ამას ჰქვია ძმობა და მეგობრობა.

შახმურადოვს ხშირად ეკითხებიან როგორ გახდა მოჭიდავე. როგორ დაუკავშირდა გოლიათთა სპორტს, თუმცა ბავშვობაში სუსტი აღნაგობისა იყო.

— ეტყობა, მოჭიდავეებად არ იბადებიან. ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი. ორჯონიკიძეში, სადაც მაშინ ვცხოვრობდი, ყოველი მეორე-მესამე ბიჭი ჭიდაობაზე ოცნებობდა. ეს სიყვარული თაობიდან თაობას გადაეცემა. ჭიდაობაზე მეც ვოცნებობდი, მაგრამ სხვებთან შედარებით ნაკლები საფუძველი მქონდა მას გავყოლოდი. ძალიან სუსტი ვიყავი ფიზიკურად. ჩემი აზრია: თუ რაიმე ძალიან გიყვარს, ნუ მოეშვები, ბოლომდე მიჰყევი. ბოლოს და ბოლოს, ცდა ბედის მონახევრეა. მეც ამ ანდაზით ვხელმძღვანელობდი. ვერაფერმა შემიშალა ხელი — ვერც მწვრთნელების სკეპტიციზმმა, ვერც თანატოლების ირონიამ, ვერც პირველმა დამარცხებებმა. მე უთუოდ მოჭიდავე უნდა ვყოფილიყავი და გავხდი კიდეც. ამაზე ვფიქრობდი, როცა მოსკოვში მწვრთნელთა სკოლაში ვსწავლობდი, როცა ამ სკოლის დამთავრების შემდეგ სრულიად ახალგაზრდა მწვრთნელი მახაჩყალაში სამუშაოდ გამგზავნეს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ ქალაქში გავიცანი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ალი ალიევი. იცით რა მოხდა? ოფლში ვიწურებოდი ვარჯიშის დროს, შეჯიბრებიდან შეჯიბრებაში გამოვდიოდი, პრინციპული შეხვედრების წინ (როგორც ალმა-ათის 1966 წლის ჩემპიონატის ფინალში სალარაძესთან შეხვედრის დროს) ღამეებს თეთრად ვათენებდი, მარცხი აუწერელ ტკივილს მგვრიდა. მაშ რა ყოფილა ასეთი საოცნებო ამ გაუთავებელ ჭიდაობაში? ვისაც უჭიდავია, ის მიმიხვდება.

დიახ, სწორედ ამ ქანცისგამცლელმა ვარჯიშმა, თეთრად გატეხილმა ღამეებმა, მარცხთან შეურიგებლობამ და, რაც მთავარია, ჭიდაობის უსაზღვრო სიყვარულმა დაუგდო შახმურადოვს არა მარტო საბჭოთა ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფალავნის სახელი. გაგონდებათ, როგორ დავიმახსოვრეთ იგი 1965 წლის თბილისის საერთაშორისო ტურნირის დღეებიდან? როგორც ქართული საჭიდაო სკოლის ტიპური წარმომადგენელი.

— დიახ, მეამაყება, როცა ჩემი ჭიდაობის მანერით ქართულ საფალავნო სკოლას მიმაკუთვნებენ. ეს არცაა გასაკვირი. თქვენს სკოლას პატივს სცემენ და სამაგალითოდაც მიიჩნევენ მთელს მსოფლიოში. სხვას ვისა ჰყავს კარტოზია, ბალავაძე, რურუა, რუბაშვილი... აი, ამ შესანიშნავ მოჭიდავეზე არ შემიძლია ჩემი სათქმელი არ გითხრათ. რუბაშვილი განსაცვიფრებელი ტალანტი იყო. პირველად იგი მოსკოვში ვნახე, საბჭოთა კავშირ — იაპონიის მატჩის დროს. ეს იყო 1962 წელს. რუბაშვილი ცნობილ ფალავანს ვატანაბეს ხვდებოდა. შთაბეჭდილება უზარმაზარი იყო. ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო მასში. ცალ-ცალკე არ ჩამოვთვლი რუბაშვილის სპორტულ ღირსებებს, რაც ქართველ გულშემატკივრებს ჩემზე ნაკლებად როდი მოეხსენებათ. ხდება ხოლმე, როცა გულშემატკივრებისა და სპეციალისტების აზრი ამა თუ იმ ფალავანზე ერთმანეთს არ ემთხვევა. საკვირველია, მაგრამ რუბაშვილის ჭიდაობით ჩვენ, მოჭიდავეებიც ჩვეულებრივი მაყურებლებივით აღფრთოვანებული ვიყავით. რუბაშვილი ფლობდა ისეთ საოცარ ილეთებს, რაც არც მანამდე და არც შემდეგ არათუ სარბიელზე, საჭიდაო სახელმძღვანელოებშიც არ მინახავს. ის თვითნაბადი ტალანტი იყო...

ვინ იცის, როდის შეხვდება შახმურადოვი საჭიდაო სარბიელზე ქართველ ფალავნებს, ვინ იცის, ვის დარჩება გამარჯვება. ერთი კი ცხადია: ჩვენს ბიჭებს შახმურადოვის სახით ჰყავთ არა მარტო მკაცრი და შეუპოვარი „ოპონენტი“, არამედ კეთილმოსურნე, გამტანი და ვაჟკაცური ბუნების მეგობარი.

ა. გოგელია.

აМ სურათზე თქვენ ხედავთ სახელგანთქმულ პოლონელ სპორტსმენს ე. როლინსკას, რომელმაც შარშან მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე 60 გასროლით 598 ქულა მოაგროვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

როლინსკა ახლა გულმოდგინედ ემზადება მომავალი შეჯიბრებებისთვის.

ცაფ-ის ფოტო.



## ობიექტივში მსოფლიო

როგორც ვწერდით, მუჰამედ ალისთან მსოფლიო პირველობის მატჩში გამარჯვების შემდეგ მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივე ჯო ფრეზიერი მსუბუქმა მუსიკამ გაიტაცა. იგი შეუდგა კონცერტების სერიას ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქში. ამასობაში ალი ზედიზედ იცვლიდა სპარინგ-პარტნიორებს, ატარებდა შეხვედრებს ძლიერ მოკრივეებთან — ერთი სიტყვით, ფრეზიერთან მატჩ-რევანშისთვის ემზადებოდა.

როგორც იქნა, ფრეზიერმაც მოათავა თავისი „მუსიკალური არდადეგები“ და მანაც დაიწყო მომავალი შეხვედრისთვის მზადება, რომლის თარიღიც ჯერჯერობით უცნობია.

სურათზე თქვენ ხედავთ დაჩოქილ ჯო ფრეზიერს ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის“ დარბაზში სპეციალურად მოწყობილ რინგზე. იგი მღერის „როკის“ სტილის სიმღერებს ჯგუფის თანხლებით, რომელსაც „ნოკაუტები“ ეწოდება.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.



რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული კვირა

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. 4 მარტი. „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი). 5 მარტი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (კიევი). ორივე მატჩის დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა — 16 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 18 ს.

**ფეხბურთი.** ლენინის სახელობის სტადიონი. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 5 მარტი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი). დასაწყისი 12 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი). 12 ს. „ავაზა“ (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი). 14 ს. „დინამო“ (თბილისი) — „დილა“ (გორი). 16 ს.

თბილისის სპორტული კვირა

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02569